27/12/2019

ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ინტრონიზაციის დღე მიულოცეს

ა.წ. 24-26 დეკემბერს ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს აღსაყდრებიდან 42 წლისთავი მიულოცეს. საზეიმო ღონისძიებებში მონაწილეობდნენ პატრიარქის ნათლულთა გუნდი (ხელმძღვანელი: ნინო მიქაბერიძე), თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტები, ანსამბლი ,,იალონი“, ანსამბლი ,,სათანაო”, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მევიოლინეები სახელწოდებით ,,სიმი“ და სხვ.

მობრძანდა ბ-ნი პაატა ბურჭულაძეც ახალგაზრდა შემსრულებლებთან ერთად, რომელთა შორის იყო 10 წლის ცოტნე ზედგინიძეც. მან შეასრულა საკუთარი ორი საფორტეპიანო ნაწარმოები, რომელთაგან ერთი მისი უწმინდესობისთვის დაწერა, მეორე კი გია ყანჩელისთვის.

patriarchate.ge